სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

„როსტო-2016“-მა იჯარით აიღო მიწის ნაკვეთები „ქართული ჩაის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში

მთავრობის განკარგულების შესაბამისად, „როსტო-2016“-ს „ქართული ჩაის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება იჯარით გადაეცა. საქმე ეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს საერთო ფართობით - 65 940 კვ.მ. (წალენჯიხის რაიონი, სამეგრელო). ქონება 25 წლის ვადით გადაეცა კომპანიას წლიური საფასურით - 328 ლარი. შპს „როსტო-2016“ დაარსდა წალენჯიხაში 2016 წლის 20 აპრილს. მისი მფლობელები არიან კერძო პირები (თენგიზ მიქავა - 34%, თამაზ და ივანე შანავა, თითოეული - 33%).

Sarke Information News, 19 მაისი, 2017

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ ეროვნული აკრედიტაცია მიიღო

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განაცხადა, რომ მისმა ლაბორატორიამ მიიღო ეროვნული აკრედიტაცია. საკითხი ეხება ლაბორატორიის შესაბამისობას ISO/IEC 17025:2010 სტანდარტებთან. სამინისტროს განცხადებით, თბილისის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის აკრედიტაციის სფეროებია კვების პროდუქტები (მათ შორის, გმო), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვები, ვეტერინარული და მცენარეული ნიმუშები. ახალციხის და ქუთაისის ლაბორატორიების აკრედიტაციის სფეროებია სურსათი, ფურაჟი, ვეტერინარული ნიმუშები, ხოლო ბათუმის რეგიონალური ლაბორატორია ზედამხედველობს ვეტერინარულ და მცენარეულ ნიმუშებს.

Sarke Information News, 15 მაისი, 2017

საქართველო ბორდოს ღვინისა და ცივილიზაციების ცენტრში პირველი ღონისძიების მენეჯერი იქნება

საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ ფართომასშტაბიანი ღონისძიებები, რომლებიც ღვინოსა და მეღვინეობას მიეძღვნება, ივლისის ბოლოდან 3 თვის განმავლობაში გაიმართება ბორდოს ღვინისა და ცივილიზაციების ცენტრში (საფრანგეთი). ამ ღონისძიებების პირველი მენეჯერი იქნება საქართველო, განაცხადა დღეს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე. ბორდოს ცენტრში „ღვინის ცივილიზაციის გამოფენა მიმდინარე წელს პირველად ტარდება საქართველოს, როგორც ღვინის ცივილიზაციის აკვანის და ღვინის ქვეყნის, მასპინძლობით“ - აღნიშნა მან. პრემიერმა აღნიშნა, რომ „ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო აღიარების და ჩვენი ძველი კულტურის გაცნობის თვალსაზრისით“. გამოფენაზე საქართველოს წარმომადგენლობის პროცესს წარმართავს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

Sarke Information News, 4 მაისი, 2017

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: ტრადიციული სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა განხორციელდება თუშეთში

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განაცხადა, რომ მის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ხელი მოეწერა მემორანდუმს არასამთავრობო ორგანიზაციასთან „კარიტასი“ ჩეხეთის რესპუბლიკა საქართველოში. მემორანდუმი მიზნად ისახავს თუშეთში (ახმეტის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი რაიონის ჩრდილოეთი ნაწილი) ტრადიციული სოფლის მეურნეობის განვითარებას, განაცხადეს სამინისტროში. პროექტი ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ჯიშების შეფასებას და განაწილებას, მიწის ხელმისაწვდომობის საკითხის შესწავლას, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებას, ცხვრის რაოდენობის გაზრდას და ა.შ.

Sarke Information News, 4 მაისი, 2017

აგრარული უნივერსიტეტი უმასპინძლებს USAID/REAP-ის მხარდაჭერილ კულინარიულ კონკურსს

5 მაისს აგრარული უნივერსიტეტის კულინარიული აკადემია უმასპინძლებს კულინარიულ კონკურსს USAID-ის მიერ დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის (REAP) პროექტის მხარდაჭერით. ღონისძიება გაიმართება აშშ-საქართველოს პარტნიორობის 25-ე წლისთავის აღნიშვნის ფარგლებში და მიზნად ისახავს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელშეწყობას, განაცხადეს პროექტში. კონკურსის ფარგლებში გამოყენებული იქნება USAID/REAP-ის და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ბენეფიციარების პროდუქცია. USAID-ის მიერ 19,5 მილიონი დოლარით დაფინანსებული REAP 5 წლის მანძილზე მიზნად ისახავს აგრობიზნესში ინვესტიციების მოზიდვას და საქართველოს სოფლებში შემოსავლების და დასაქმების ზრდის ხელშეწყობას. საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარების ფარგლებში აშშ-მ 25 წლის განმავლობაში 1,5 მილიარდ დოლარზე მეტი გადასცა საქართველოს.

Sarke Information News, 3 მაისი, 2017

შპს „აგრო+“-მა მიიღო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები წყალტუბოს მუნიციპალიტეტში

მთავრობის დადგენილების თანახმად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში (იმერეთის რეგიონი) გადაეცემა შპს „აგროს+“-ს პირდაპირი მიყიდვის წესით. საქმე ეხება 99 741 კვ.მ სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთებს. კომპანია გადაიხდის 44 890 ლარს. განკარგულების მიხედვით, „აგრო+“-მა, შეთანხმების შესაბამისად, მრავალწლიანი ნარგავები უნდა გააშენოს 2 წლის განმავლობაში, შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მიწის მინიმუმ 70%-ზე და უნდა მოახდინოს ინფრასტრუქტურის განვითარება. ამ მიზნით ინვესტიციები უნდა შეადგენდეს მინიმუმ 200 000 ლარს. შპს „აგრო+“ დაარსდა 2015 წელს. 70%-ის მფლობელია GSA Invest (რომელშიც დიმიტრი აბდუშელიშვილი 100%-ს ფლობს), 20% ეკუთვნის ალექსანდრე იოსებაშვილს, 10% - კახა ადამაძეს.

Sarke Information News, 2 მაისი, 2017

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

სომხეთი 10 მილიონ ევროს მიიღებს ევროკავშირისგან წვეთოვანი სარწყავი სისტემისთვის

ევროკავშირი სომხეთს 10 მილიონ ევროს გადასცემს არარატის ველის წვეთოვანი საირიგაციო სისტემისთვის. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე არმენ ჰარუთიუნიანმა განაცხადა, რომ შესაბამისი პროექტი განხორციელდება არარატის და არმავირის პროვინციებში. პროექტის მიზანია წყლის ფილტრაციის აუზების აშენება და საირიგაციო შიდა ქსელების გაყვანა ფერმებამდე. „ვიმედოვნებ, რომ ჩვენ შევძლებთ ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულებას პროექტის თაობაზე შემოდგომაზე“, - აღნიშნა ჰარუთიუნიანმა. „ჩვენ ვაპირებთ, რომ მაქსიმალურად ბევრი ფერმერი ჩავრთოთ პროექტში, ჩვენ მათ ასევე მივცემთ რჩევებს უფრო მაღალი შემოსავლების მომტანი კულტურების გაშენების საკითხებზე“.

18 მაისი, 2017, news.am

სომხეთი უახლოეს მომავალში დაიწყებს ორგანული სურსათის პროპაგანდის კამპანიას

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის არმენ ჰარუთიუნიანის განცხადებით, უახლოეს მომავალში სომხეთი დაიწყებს ორგანული პროდუქტების პროპაგანდის კამპანიას. ამასთან ერთად, გაგრძელდება ფერმერების, აგრეთვე მცირე და საშუალო ბიზნესის, რომლებსაც სურთ აწარმოონ ორგანული საკვები, მხარდაჭერა. ევროკავშირი და ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA) პროგრამას 3,3 მილიონი ევროს მხარდაჭერას გაუწევენ. პირველ ეტაპზე დაეხმარებიან მცირე ზომის საწარმოებს ორგანული პროდუქციისთვის მინდვრების, ბაღების ან წარმოების მომზადებაში. იმისთვის, რომ მზა პროდუქცია სწრაფად გამოჩნდეს (ევროპაში თუ არა, სომხეთში მაინც), სამინისტრომ უკვე შეათანხმა მსხვილ სუპერმარკეტებთან ორგანული სექციების გახსნა. მაგრამ მრავალფეროვნება ჯერჯერობით არ იქნება. მომზადების შემდეგ საჭიროა სამ წლამდე გარდამავალი პერიოდი. მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც მიიღო სერტიფიკატები პროგრამის დაწყებამდე. ამჟამად სომხეთში 40-მდე მწარმოებელს აქვს სერტიფიკატები და თითქმის ამდენივე გეგმავს მათ მიღებას. „იმედი მაქვს, რომ 2018 წელს ჩვენ საკუთარი საბიუჯეტო სახსრები გვექნება. გვინდა გამოვყოთ სუბსიდიები იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ორგანული სურსათის წარმოების სერტიფიკაციას აპირებენ, რომლებსაც სურთ შეიძინონ ორგანული სასუქები ან ნერგები. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო საგარეო, არამედ სომხური ბაზარიც. ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენმა მომხმარებლებმა უკეთ იცოდნენ ორგანული სურსათის სარგებლობის შესახებ, რადგან რამდენად ჯანმრთელი იქნება საკვები, მით უფრო ჯანმრთელი იქნებიან ჩვენი შვილები“, - აღნიშნა ჰარუთიუნიანმა. ახლა სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავითარებს მწვანე ეკონომიკის ფართო პროგრამას, სადაც აგროტურიზმი და „სუფთა“ ენერგია დაემატება ორგანულ სურსათს. სურსათი, რომელიც მოყვანილია ქიმიური ნივთიერებების (სასუქების და შეფრქვევის), ასევე ნიადაგზე მათი ნაშთების გარეშე, ითვლება ორგანულად. დამუშავებული ორგანული პროდუქტების (კონსერვები, წვენი და სხვა) შემთხვევაში, არა მხოლოდ ძირითადი, არამედ ყველა დანარჩენი ინგრედიენტები (მაგალითად, შაქარი) უნდა იყოს ორგანული. ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნა ძალიან მცირეა, ასევე მაღალია კულტივირების რისკი (ქიმიური ნივთიერებების გარეშე მავნე ორგანიზმებთან ბრძოლა რთულდება), ამიტომაც სომხეთში ძალიან მცირე რაოდენობით იწარმოება ორგანული სურსათი.

17 მაისი, 2017, news.am

FAO დაეხმარება სომხეთს ყურძნის უნიკალური ჯიშების შენარჩუნებაში

სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) დაეხმარება სომხეთს ადგილობრივი ჯიშების ვენახების გაშენებაში, განაცხადა სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე არმენ ჰარუთიუნიანმა. არარატის დაბლობი ყოველთვის ცნობილი იყო ფილოქსერას სიმცირით, მაგრამ რამდენიმე წლის წინ აქ მისი ცენტრები გაჩნდა. ადგილობრივი ჯიშები, რომლებიც ფილოქსერასადმი არა-რეზისტენტულია, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ. მათ არა მხოლოდ კულტურული, არამედ ეკონომიკური მნიშვნელობაც აქვთ, ვინაიდან ძირითადად სომხეთში გაშენებულია ენდემური ჯიშები და არა საერთაშორისო კლასიკური სახეობები. მათი შენარჩუნების მიზნით სამინისტრო აპირებს შეიძინოს ფილოქსერასადმი რეზისტენტული ჯიშების ფესვები, რომლებიც გამოყენებული იქნება ადგილობრივ ჯიშებზე დასამყნობად. დაავადება ნაკლებად დააზიანებს მათ. ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, ფერმერები საკუთარი ძალებით შეძლებენ ფესვების ყიდვას, თუ სახელმწიფო მათ ნაწილობრივ დააფინანსებს. „პროგრამა მალე დაიწყება. FAO მობილიზებას უწევს სპეციალისტთა ჯგუფს, რომელთანაც ჩვენ განვიხილავთ ყველა დეტალს“, - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

17 მაისი, 2017, news.am

მეფრინველეების კავშირი: სომხეთს კვერცხის ფხვნილის წარმოებაში სპეციალიზებული ობიექტი სჭირდება

სომხეთს სჭირდება კვერცხის ფხვნილის და კვერცხის ნარევის (პასტერიზებული კვერცხის გული და ცილა) სპეციალიზებული საწარმო. სომხეთის მეფრინველეების კავშირის თავმჯდომარე სერგეი სტეფანიანის აზრით, უპირველეს ყოვლისა, ასეთი საწარმო შეიძლება ხანგრძლივად შენარჩუნდეს, მეორე მხრივ, ის გადაამუშავებს ფრინველის ფაბრიკების ჭარბ პროდუქციას. სომხეთის მეფრინველეობის ფაბრიკების კვერცხის 15% ყოველწლიურად გასაყიდად უხარისხოდ ითვლება. „მათი ნაწილი არ იყიდება, ვარგისიანობის ვადა გადის; ნაწილს დეფექტები აქვს - ბზარები ან ჭუჭყი. ეს ყველაფერი ადვილად გადამუშავდება და უკეთესად გაიყიდება. ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქტის ერთეულზე შემოსავალი გაიზრდება და კვერცხის თვითღირებულება მთლიანობაში დაიკლებს“, - თქვა მან. ამგვარი საწარმოს ხარჯები არ არის ძალიან მაღალი: შეიძლება 1,5 მილიონი ევრო შეადგინოს. სამწუხაროდ, სომხეთის მეფრინველეობის ფაბრიკებს ძველი ვალები აქვთ და ახალ სესხებს ვერ აიღებენ, თქვა სტეფანიანმა. ამიტომაც ითხოვენ მთავრობისგან უპროცენტო სესხს. „ჩვენ შევხვდით მთავრობის წარმომადგენლებს და მოვითხოვეთ, რომ ისინი გახდნენ თანაინვესტორები. კავშირში შემავალი საწარმოები ვალდებული ვიქნებით, 5 წლიან ვადაში გამოვისყიდოთ სახელმწიფოს წილობრივი ინტერესი“, - განაცხადა სპეციალისტმა. სომხეთში თხევადი კვერცხის მთავარი მომხმარებლები არიან კვების მრეწველობის (ხორც-პროდუქტები, საკონდიტრო, ნაყინი და სხვა) საწარმოები. კვერცხის ნარევები მზადდება ადგილზე. სხვადასხვა ქვეყნებში თხევადი კვერცხი და კვერცხის ფხვნილი გამოიყენება დიდი სახელმწიფო შესყიდვებისათვის (არმია და ა.შ.), ხოლო ჩრდილოეთ ქვეყნებსა და რეგიონებში ეს პროდუქცია ცვლის ახალ კვერცხს.

15 მაისი, 2017, news.am

Sevan Aqua მოახდენს 1,75 მილიარდი დრამის ინვესტირებას თევზსაშენში სევანზე

კომპანია Sevan Aqua სევანის ტბაზე თევზსაშენის განვითარებაში 1,75 მილიარდი დრამის ინვესტიციას განახორციელებს, განაცხადა ეკონომიკური განვითარების და

ინვესტიციების მინისტრმა სურენ კარაიანმა მთავრობის სხდომაზე. მთავრობამ დღეს გადაწყვიტა, გაათავისუფლოს ეს კომპანია საბაჟო გადასახდელებისგან ტექნოლოგიური აღჭურვილობის და ნედლეულის იმპორტისთვის, ასევე მისცა გადასახადების გადავადების სამწლიანი ვადა. მინისტრის თქმით, ინვესტიციის შედეგად 12 ახალი თევზსაშენი მოეწყობა, რაც მათ რიცხვს 24-მდე გაზრდის. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს ინვესტიცია 85 ახალ სამუშაო ადგილს შექმნის, საშუალო ხელფასით 230 000 დრამი. Sevan Aqua-ამ უკვე მიიღო მსგავსი შეღავათები მთავრობისგან 2016 წლის მარტში, როდესაც გამოაცხადა თავისი განზრახვა მოეხდინა 1,95 მილიარდი დრამის ღირებულების ტექნიკის იმპორტირება წელიწადში 685 ტონა პროდუქციის საწარმოებლად. ტბაში 2016 წელს შეიქმნა 12 თევზსაშენი. 3 წელიწადში საწარმომ უნდა მიაღწიოს საპროექტო სიმძლავრეს - 685 ტონა თევზი წლიურად, საიდანაც 2,4 მილიარდი დრამის სავარაუდო შემოსავალი იქნება მიღებული. მთავრობის პროგრამა ითვალისწინებს ტბაში კალმახის მოცულობის 50 000 ტონამდე გაზრდას 10 წლის განმავლობაში (2023 წლამდე). პროექტში ინვესტიციის ღირებულება შეადგენს 66 მილიარდ დრამს (დაახლოებით 162 მილიონი აშშ დოლარი). ($ 1 – 484,41 დრამი).
11 მაისი, 2017, *arka.am*

ACBA Leasing უერთდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის იჯარის პროგრამას
სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რობერტ მაკარიანმა, სოფლის განვითარების პროგრამების განხორციელების სამთავრობო ოფისის დირექტორმა ვაჰ ჰარუთიუნიანმა და ACBA Leasing-ის ხელმძღვანელმა არსემ ბაზიკიანმა დღეს ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მთავრობის მიერ სუბსიდირებული პროგრამის განხორციელებაზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის იჯარის დასაფინანსებლად, განაცხადა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პრეს-რელიზში. რობერტ მაკარიანის სიტყვებზე დაყრდნობით, სამინისტროს პრეს-რელიზში ვკითხულობთ, რომ მოლაპარაკებები სხვა ორგანიზაციებთანაც მიმდინარეობს, რათა მოხდეს პროგრამაში ჩართული ფინანსური სტრუქტურების რიცხვის გაზრდა. „ბაზარი ღიაა და რაც უფრო მეტი მომწოდებლები და ფინანსური სტრუქტურები გვექნება, მით უფრო ხელმისაწვდომი იქნება ფერმერების და კოოპერატივებისთვის მანქანების შეძენა“, - განაცხადა მან. ბაზიკიანმა, თავის მხრივ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მემორანდუმი საშუალებას მისცემს ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და აღჭურვილობა მიიღონ უპრეცედენტო პირობებში და ეს გახდება მათი ბიზნესის გაფართოების საფუძველი. „ხვალიდან ფერმერები შეძლებენ დაგვიკავშირდნენ და ჩვენ ვეცდებით, რაც შეიძლება სწრაფად გამოვეხმაუროთ მათ განცხადებებს“, - დასძინა მან. ვაჰ ჰარუთიუნიანის განცხადებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე მოთხოვნა დიდია. პროგრამის ფარგლებში ფერმერებს შეუძლიათ შეიძინონ ტრაქტორები, კომბაინები, სალეწი ტექნიკა, გუთნები, სათიბები, კულტივიტორები, საჭრელები, შესაწამლი და სხვა აპარატები. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა შესაძლებელია 20%-ის წინასწარი გადახდით და 2%-იანი წლიური საიჯარო განაკვეთით 3-10 წლის განმავლობაში, ტექნიკის ტიპის მიხედვით.
4 მაისი, 2017, arka.am

Sevan Trout 682 მლნ დრამის ინვესტირებას აპირებს წარმოების გაფართოებაში
თევზის ფერმა Sevan Trout 682 მლნ დრამის ინვესტიციას განახორციელებს კალმახის კულტივაციის გაფართოებაში - განაცხადა ეკონომიკური განვითარების და ინვესტიციების მინისტრმა სურენ კარაიანმა დღეს. ამის გათვალისწინებით, მთავრობამ

გადაწყვიტა კომპანია გაათავისუფლოს საბაჟო გადასახადების გადახდისგან ტექნოლოგიური აღჭურვილობის და ნედლეულის იმპორტისთვის, ასევე მოახდინოს დღგ-ს გადახდის სამწლიანი გადავადება. მინისტრმა განაცხადა, რომ კომპანია შექმნის 23 ახალ სამუშაო ადგილს 290 ათასი დრამი საშუალო ხელფასით. მთავრობის მიერ შემუშავებული მეთევზეობის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს ტბაში კალმახის წარმოების მოცულობის გაზრდას 10 წლის განმავლობაში (2023 წლამდე) 50 000 ტონით. ($ 1 – 484,77 დრამი).
4 მაისი, 2017, arka.am

სლოვაკები სომხეთის რელიგიური ტურიზმით შეიძლება დაინტერესდნენ
ჩეხი ტურისტები შეიძლება დაინტერესდნენ ალპინიზმით ან ექსტრემალური ტურიზმით სომხეთში. რეგიონული ტურისტული პაკეტები, როგორიცაა საქართველო-სომხეთი, ან შემდგომ ასევე სომხეთი-ირანი, შეიძლება საკმაოდ პერსპექტიული იყოს, სომხეთის ელჩმა ჩეხეთის და სლოვაკეთის რესპუბლიკაში ტიგრან სეირანიანმა განუცხადა Armenpress-ს. მისი აზრით, ბევრი არის დამოკიდებული ქვეყნის ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. „ჩეხეთი განვითარებული ტურიზმის ქვეყანაა, გასულ წელს 31 მილიონი უცხოელი ტურისტი ეწვია ქვეყანას. ჩეხ ხალხს ასევე აქვს მოგზაურობის სურვილი, თუმცა ზაფხულის არდადეგების გატარება სანაპიროზე, მაგალითად, ხორვატიაში, ურჩევნიათ“, - განაცხადა ელჩმა. მისი თქმით, სლოვაკები შეიძლება დაინტერესდნენ სომხეთის რელიგიური ტურიზმით, ხოლო ჩეხები შესაძლოა უფრო დაინტერესდნენ ალპინიზმით. „მე უნდა აღვნიშნო ჩეხეთის პარლამენტის დეპუტატის, ჩეხეთის რესპუბლიკის და სომხეთის მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელის რობინ ბოჰნიჩის როლი ტურიზმის სფეროში. იგი სომხეთს წელიწადში რამდენჯერმე სტუმრობს დეპუტატებთან და ჩინოვნიკებთან ერთად“, - განაცხადა ელჩმა სეირანიანმა. 19 აპრილს რობინ ბოჰნიჩის წიგნის „სომხეთი - მთების, მონასტრების და ღვინის ქვეყანა“ (ჩეხურ და ინგლისურ ენებზე) პრეზენტაცია გაიმართა. ელჩის განცხადებით, წიგნი უნიკალური ინსტრუმენტი გახდება სომხეთში ტურისტების მოსაზიდად.
4 მაისი, 2017, armenpress.am

აგროტურიზმი სომხეთის სოფელ იენოკავანში განვითარდება
სომხეთის ტავუშის პროვინციის სოფელ იანოკავანისთვის აგროტურიზმის ახალი პროგრამები შემუშავდა, იუწყება Armenpress. ეკონომიკური განვითარების და ინვესტიციების სამინისტროს სახელმწიფო ტურიზმის კომიტეტის თავმჯდომარემ ზარმინ ზეიტუნციანმა განაცხადა, რომ თემების ჰარმონიული განვითარება პრიორიტეტულია მათთვის. „სოფელ იენოკავანში აგროტურიზმის საინტერესო პროგრამები შემუშავდა. ამ კვირის ბოლოს ჩვენ ვგეგმავთ სოფლის მონახულებას და გვინდა შევისწავლოთ ტერიტორია“, - განაცხადა მან. აქტიური დასვენების ინფრასტრუქტურა სწრაფად ვითარდება იენოკავანში, 140 კმ-ზე ჩრდილო აღმოსავლეთით დედაქალაქ ერევანიდან.
3 მაისი, 2017, armenpress.am

პუბლიკაციები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2017 წლის აპრილის #56 გამოცემა

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე.

http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი

ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე:

http: eeas.europa.eu/delegations/georgia/.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან

სიახლეები იხ. ამ ბმულზე: **www.enpard.ge**

DWV & AGRICULTURE

თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში.

იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე:

www.dwvg.ge

Agro & Food Up-to-Date

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტზე. http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/